№ **299/ს** **07 / თებერვალი / 2020 წ.**

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

დუშეთის მუნიციპალიტეტსა და ი/მ „ჰამლეტ მელიწკაურს“ შორის 2019 წლის 29 მაისს N184 დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შეუსრულებელი ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის გამო შეწყვეტის შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტსა და ი/მ „ჰამლეტ მელიწკაურს“ შორის 2019 წლის 29 მაისს N184 გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული იყო: სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ფასანაურის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ჭიკაანის მისასვლელი გზის შეკეთების სამუშაოები. ი/მ „ჰამლეტ მელიწკაურს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები არ შეუსრულებია. 2019 წლის 29 მაისის N184 ხელშეკრულების მე-13 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლა წარმოადგენს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დუშეთის მუნიციპალიტეტსა და ი/მ „ჰამლეტ მელიწკაურს“ შორის 2019 წლის 29 მაისს დადებული N184 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება ჩაითვალოს შეწყვეტილად 2019 წლის 31 დეკემბრიდან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის გამო.

2. მუნიციპალური შესყიდვების სამსახურმა უზრუნველყოს საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ზურაბ სეხნიაშვილი